# ადამიანის უფლებების სამართლის საუნივერსიტეტო კვირეული

## 3-10 დეკემბერი 2020



USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)

# ადამიანის უფლებების სამართლის საუნივერსიტეტო კვირეული
## 3-10 დეკემბერი, 2020

**2020 წლის ადამიანის უფლებების სამართლის საუნივერსიტეტო კვირეული სრულად გაიმართება ონლაინ რეჟიმში. დეტალური ინფორმაცია კვირეულის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ განთავსდება ღონისძიების ორგანიზატორი უნივერსიტეტის ვებ ან ფეისბუქ გვერდზე**

| დრო | ღონისძიება |
|---|---|
| 3 დეკემბერი<br>12:00-13:30 | **კვირეულის გახსნა**<br>**კვირეულის ორგანიზატორი უნივერსიტეტებისა და მხარდამჭერი ორგანიზაციის წარმომადგენლები**<br><br>*საპანელო დისკუსია*<br>**კოვიდ-19-ის გავლენა ადამიანის უფლებათა დაცვაზე საქართველოში**<br>*მომხსენებლები:*<br>***კონსტანტინე კორკელია** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი*<br>***გვანცა კვარაცხელია** – თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის საკონსტიტუციო სამართლის კლინიკის მოწვეული ლექტორი*<br>***გივი ლუაშვილი** – საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს მოწვეული ლექტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი საკონსტიტუციო სამართლის მიმართულებით* |

| დრო | ღონისძიება |
|---|---|
| 4 დეკემბერი<br>14:00-15:00 | **შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი**<br>*საჯარო ლექცია*<br>**რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება და მისი შეზღუდვა პანდემიის პირობებში**<br>*ლექციის ფარგლებში განხილული იქნება პანდემიის პირობებში რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლები და ფარგლები საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით.*<br>**მომხსენებელი:**<br>***ქემალ შაჰინ*** – *მკვლევარი, ევროპის საბჭოს ექსპერტი*<br>**მოდერატორი:**<br>***გოგა კიკილაშვილი*** – *შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის კლინიკის წამყვანი იურისტი* |
| 4 დეკემბერი<br>15:00-16:00 | **თბილისის ღია უნივერსიტეტი**<br>*საჯარო დისკუსია*<br>**ადამიანის უფლებათა ჟურნალისტიკა**<br>*„უფლებები საქართველო“ (ყოფილი კონსტიტუციის 42-ე მუხლი) გამართავს დისკუსიას გამოხატვის თავისუფლება საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს სტანდარტების შესაბამისად; გააცნობს ადამიანის უფლებათა მედია ლაბორატორიის საქმიანობას.*<br>**მომხსენებლები:**<br>***ნანა მჭედლიძე*** – *ექსპერტი*<br>***მარიამ მხატვარი*** – *„უფლებები საქართველოს“ პროექტის კოორდინატორი*<br>**მოდერატორი:**<br>***ქეთევან ცხადაძე*** – *თბილისის ღია უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დეკანი* |

| დრო | ღონისძიება |
| --- | --- |
| 4 დეკემბერი<br>16:00-18:00 | **საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ**<br>*კვლევის პრეზენტაცია*<br>**საკონსტიტუციო კონტროლი და სამართალწარმოება**<br>*ნაშრომის შექმნის მიზანია დაინტერესებულ პირებს მიაწოდოს სისტემური ცოდნა საკონსტიტუციო კონტროლისა და სამართალწარმოების ძირითად საკითხებზე.*<br>*შეხვედრაზე გაიმართება დისკუსია საკვლევი თემატიკის შესახებ. ავტორები და რედაქტორი მოისმენენ კოლეგების, სფეროს სპეციალისტების და სტუდენტების მოსაზრებებს თუ როგორი უნდა იყოს ნაშრომის შინაარსი, რომ მან ამოწუროს ყველა ის საკითხი, რაც ამ სფეროში მნიშვნელოვანი და აქტუალურია.*<br>***მომხსენებლები:***<br>***ბესიკ ლოლაძე –*** *საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს პროფესორი*<br>***ზურაბ მაჭარაძე –*** *საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს პროფესორი*<br>***მოდერატორი:***<br>***ანა ფირცხალაშვილი –*** *საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს ვიცე რექტორი სამეცნიერო კვლევითი მიმართულებით* |
| 4 დეკემბერი<br>19:00-21:00 | **კავკასიის უნივერსიტეტი**<br>*საჯარო ლექცია*<br>**WHAT IN THE WORLD? U.S. ELECTIONS SEEN THROUGH THE LENS OF INTERNATIONAL HUMAN RIGHTS LAW**<br>*ლექციის ფარგლებში განხილული იქნება ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის პრობლემა აშშ-ში ახლახანს გამართული არჩევნების კონტექსტში, საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და სახელმწიფოს მიერ მისი ფუნქციების განხორციელების ურთიერთკავშირი, ასევე, ამ კუთხით შექმნილი პრობლემები და მათი სამართლებრივი გადაჭრის გზები.*<br>***მომხსენებელი:***<br>***სტივენ შნებაუმი –*** *პროფესორი, ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის პროგრამის დირექტორი, საერთაშორისო სამართლის ასოციაციის ამერიკის წარმომადგენლობის დირექტორთა საბჭოს წევრი, საერთაშორისო სამართლის სტუდენტთა ასოციაციის (ILSA) დამფუძნებელი, აშშ-ის საერთაშორისო სამართლის ასოციაციის მრჩეველი.*<br>***მოდერატორი:***<br>***კონსტანტინე კოპალიანი –*** *აშშ-ს დიუკის სამართლის სკოლის წამომადგენელი* |

| დრო | ღონისძიება |
|---|---|
| 5 დეკემბერი<br>11:00-17:00 | **საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ**<br>*კონფერენცია*<br>**ქალთა უფლებები და არსებული გამოწვევები საქართველოში**<br>*კონფერენციაში მონაწილეობა შეუძლია საქართველოში არსებულ ყველა უმაღლესი დაწესებულების, ნებისმიერი საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტს. ხოლო კონფერენციაზე დასწრება თავისუფალია ყველა მსმენელისათვის.*<br>*მოხსენების თემატიკა უნდა ეხებოდეს ქალთა უფლებებთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებს.*<br>***მოდერატორები:***<br>***თამარ ავალიანი –*** *საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს მოწვეული ლექტორი*<br>***გოგა ხატიაშვილი –*** *საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს მოწვეული ლექტორი, ექსპერტი, ეროვნული კონსულტანტი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე* |
| 5 დეკემბერი<br>19:00-21:00 | **გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი**<br>*საჯარო ლექცია*<br>**გენოციდი: THE CRIME OF CRIMES**<br>*ყოველი წლის 9 დეკემბერს მსოფლიოს მასშტაბით გენოციდის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღე აღინიშნება. საჯარო ლექციის ფარგლებში განხილულ იქნება გენოციდის, როგორც საერთაშორისო დანაშაულის ისტორიული განვითარების ეტაპები, გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ კონვენცია, მისი მიღების წინაპირობები და გამომწვევი მიზეზები, დანაშაულთან მიმართებით ეროვნული კანონმდებლობის თავისებურებანი და სხვა.*<br>***მომხსენებელი:***<br>***ბაქარ მაცაბერიძე –*** *სამოქალაქო განათლების ცენტრის მიერ დაფუძნებული გენოციდის ჰოლოკოსტისა და შეიარაღებული კონფლიქტების სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი* |

| დრო | ღონისძიება |
| --- | --- |
| 7 დეკემბერი<br>10:00-16:30 | **სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი**<br>*კონფერენცია*<br>**მე-2 საფაკულტეტო სტუდენტური კონფერენცია: ადამიანის უფლებები**<br>*კონფერენცია მიზნად ისახავს სტუდენტების კვლევითი საქმიანობის წახალისებასა და ცნობიერების ამაღლებას ადამიანის უფლებების მიმართულებით.*<br><br>***კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ ავტორიზებული უნივერსიტეტების სამართლის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტები*** |
| 7 დეკემბერი<br>13:00-13:30 | **ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**<br>*საჯარო ლექცია*<br>**პანდემიის გავლენა ბავშვის უფლებებზე**<br>*პანდემიის პირობები მასობრივად მოქმედებს ბავშვებზე და ზემოქმედებას ახდენს მათ კეთილდღეობაზე. ლექციაზე ყურადღება დაეთმობა ბავშვის უფლებებს, სახალხო დამცველის, ევროპის ბავშვთა ომბუდსმენის ქსელის და გაეროს შეფასებებს.*<br><br>***მომხსენებელი:***<br>***მადონა ბასილაძე*** *– სახალხო დამცველის აპარატის დასავლეთ საქართველოს სამმართველოს უფროსი* |

| დრო | ღონისძიება |
|---|---|
| 7 დეკემბერი 17:00-19:00 | **საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი** |
| 7 დეკემბერი 19:00-20:30 | **ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი** |

## საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

7 დეკემბერი
17:00-19:00

*საჯარო დისკუსია*

### პოლიტიკური საარჩევნო უფლებები და არჩევნები: 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შეფასება

*პანელ-დისკუსიის ფარგლებში მიმოხილულ იქნება ძირითადი პოლიტიკური უფლებები, ზოგადად, არჩევნების კონტექსტში და შეფასდება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობის სამართლებრივი მხარე.*

***მომხსენებლები:***

***ანა დოლიძე*** *– საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი*
***ანა ნაცვლიშვილი*** *– საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი*
***ბაკურ კვაშილავა*** *– საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი*
***თენგო თევზაძე*** *– „სამოქალაქო პლატფორმა – 2020“-ის აღმასრულებელი დირექტორი*

***მოდერატორი:***

***თინათინ ერქვანია*** *– საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი*

## ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

7 დეკემბერი
19:00-20:30

*საჯარო დისკუსია*

### ილიაუნის სამართლის სკოლის ადამიანის უფლებათა კლინიკის წლიური საქმიანობის მიმოხილვა

*დისკუსიაზე სამართლის სკოლის სტუდენტები და სტუმრები მიმოიხილავენ ადამიანის უფლებათა კლინიკის 2019-2020 წლების საქმიანობას. ღონისძიებაზე განხილული იქნება კლინიკის წარმატებული საქმეები და გამოწვევები.*

***მომხსენებლები:***

***ნუცა მაზანაშვილი*** *– ილიაუნის სამართლის სკოლის სტუდენტი*
***ირაკლი ფორჩხიძე*** *– ილიაუნის სამართლის სკოლის დეკანი*
***თამარ გურჩიანი*** *– ილიაუნის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი*

***მოდერატორი:***

***ანა აფციაური*** *– ილიაუნის სამართლის სკოლის სტუდენტი*

| დრო | ღონისძიება |
|---|---|
| 8 დეკემბერი<br>12:00-13:30 | **თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი**<br>*საჯარო დისკუსია*<br>**მე-10 მოწვევის პარლამენტის საქმიანობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამოწვევები**<br>*საჯარო დისკუსიის ფარგლებში განხილული იქნება ის სამართლებრივი პრობლემები და გამოწვევები, რომლის წინაშეც შეიძლება დადგეს მე-10 მოწვევის პარლამენტი.*<br><br>***მომხსენებლები:***<br>***გიორგი მშვენიერაძე –*** *თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“-ს თავმჯდომარე*<br>***გიორგი ბურჯანაძე –*** *თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე*<br>***სოფო ასათიანი –*** *საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი* |
| 8 დეკემბერი<br>14:00-14:30 | **ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**<br>*საჯარო ლექცია*<br>**ბავშვის უფლება აღიზარდოს ოჯახურ გარემოში**<br>*ლექციაზე ყურადღება დაეთმობა ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციას, ბავშვის უფლებათა კოდექსს, ასევე შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ კანონმდებლობას. წარმოდგენილი იქნება შვილად აყვანის საკითხზე სტატისტიკური ანალიზი და თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევების შედეგად მიღებული ინფორმაცია.*<br><br>***მომხსენებელი:***<br>***ქეთევან კუხიანიძე –*** *აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი* |

| დრო | ღონისძიება |
|---|---|
| 8 დეკემბერი<br>17:00-18:30 | **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**<br>*სტუდენტური კონფერენცია*<br>**საერთაშორისო და ეროვნული მექანიზმების მნიშვნელობა ეთნიკურ/ეროვნულ/რელიგიურ უმცირესობათა უფლებების დაცვის სფეროში**<br>*კონფერენციის ფარგლებში მოხდება იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების მიერ მომზადებული და კონკურსის გზით შერჩეული, არაუმეტეს 10 საუკეთესო ნაშრომის პრეზენტაცია, რომელიც ეხება საერთაშორისო და ეროვნული მექანიზმების მნიშვნელობას ეთნიკურ/ეროვნულ/რელიგიურ უმცირესობათა უფლებების დაცვის სფეროში.*<br><br>*მოდერატორი:*<br>***ირინე ქურდაძე*** *– თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი* |
| 8 დეკემბერი<br>18:30-19:00 | **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**<br>*სტატიათა კრებულის პრეზენტაცია*<br>**ადამიანის უფლებათა დაცვა და სახელმწიფოს დემოკრატიული ტრანსფორმაცია**<br>*კრებულის რედაქტორი კონსტანტინე კორკელია*<br><br>*მომხსენებლები:*<br>***თამარ ზარანდია*** *– თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი*<br>***ირინე ქურდაძე*** *– თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი*<br><br>*მოდერატორი:*<br>***კონსტანტინე კორკელია*** *– თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი* |

| დრო | ღონისძიება |
| --- | --- |
| 9 დეკემბერი<br>12:00-13:00 | **სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი**<br>*პრეზენტაცია*<br>**სამართლებრივი განათლების ონლაინ პლატფორმის პრეზენტაცია**<br>*პრეზენტაციის ფარგლებში მოხდება ონლაინ პლატფორმის (ვებგვერდის) გაცნობა, რომელზეც განთავსებული იქნება გაციფრებული სამართლებრივი ლიტერატურა, აგრეთვე ონლაინ ლექციები სამართლებრივ საკითხებზე.*<br><br>*მომხსენებელი:*<br>***დიმიტრი გეგენავა –** საბაუნის პრორექტორი, პროფესორი*<br><br>*მოდერატორი:*<br>***გიორგი გორაძე –** საბაუნის სამართლის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი* |
| 9 დეკემბერი<br>19:00-20:30 | **ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**<br>*ფილმის ჩვენება და დისკუსია*<br>**„რეფორმისტი“**<br>*ფილმის ჩვენება და დისტანციური დისკუსია ტარდება ნიდერლანდების სამეფოს საელჩოსთან თანამშრომლობით. „რეფორმისტი“ შეეხება ქალი იმამების მიერ მართული პირველი მეჩეთის გახსნას. ფილმი მოგვითხრობს, თუ რა წინააღმდეგობებს შეიძლება შეხვდეს ლიდერი ქალი რელიგიურ სამყაროში.*<br><br>*მომხსენებელი:*<br>***რუსუდან გოცირიძე –** ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსი*<br><br>*მოდერატორი:*<br>***ნინო ჩოჩია –** ილიაუნის სამართლის სკოლის სტუდენტი* |

| დრო | ღონისძიება |
|---|---|
| 10 დეკემბერი<br>11:00-12:00 | **შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი**<br>*საჯარო ლექცია*<br>**საქართველოს წითელი ჯვრის ჰუმანიტარული მისია გლობალური პანდემიის პერიოდში**<br>*ლექციის ფარგლებში განხილული იქნება პანდემიის პერიოდში საქართველოს წითელი ჯვრის ჰუმანიტარული მისიის როლი, გამოწვევები და განხორციელებული აქტივობები.*<br>***მომხსენებელი:***<br>***ნათია ლოლაძე** – საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების პრეზიდენტი*<br>***მოდერატორი:***<br>***გოგა კიკილაშვილი** – შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის კლინიკის წამყვანი იურისტი* |
| 10 დეკემბერი<br>11:00-14:00 | **სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი**<br>*კონფერენცია*<br>**მე-3 ყოველწლიური კონფერენცია – რელიგია და ადამიანის უფლებები**<br>*კონფერენციაზე მოხსენებით გამოვლენ სამართლისა და თეოლოგიის მეცნიერებების წარმომადგენლები და ისაუბრებენ რელიგიისა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე.*<br>***მომხსენებლები:***<br>***გოჩა ბარნოვი** – თეოლოგი, საბაუნის ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი*<br>***ირაკლი ჯავახიშვილი** – საბაუნის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი*<br>***მოდერატორი:***<br>***დიმიტრი გეგენავა** – საბაუნის პრორექტორი, პროფესორი* |

| დრო | ღონისძიება |
|---|---|
| 10 დეკემბერი<br>16:00-17:30 | **ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**<br>*ადამიანის უფლებათა გაკვეთილი*<br>**რა გავლენა მოახდინა კორონავირუსის პანდემიამ შენს უფლებებზე?**<br>*ადამიანის უფლებათა გაკვეთილზე სტუდენტების მიერ განხილული იქნება: გამოხატვის თავისუფლება, განათლების უფლება, შრომის უფლება, ჯანმრთელობის უფლება და სხვა უფლებები.*<br><br>***მომხსენებლები:***<br>***სალომე კვირიკაშვილი***<br>***ზურა ფარქოსაძე***<br>***ნინო ჩიხლაძე***<br>***ნაშირ ორდუხანი***<br>***გაგა თუთარაშვილი***<br>***თეკლე ბრეგვაძე***<br>*ილიაუნის სამართლის სკოლის სტუდენტები*<br><br>***მოდერატორი:***<br>***მარი დევიძე*** – *ილიაუნის სამართლის სკოლის სტუდენტი* |
| 10 დეკემბერი<br>14:30-15:00 | **კვირეულის დახურვა**<br>**ადამიანის უფლებათა დამცველის და სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლის დაჯილდოება** |

*ადამიანის უფლებების სამართლის საუნივერსიტეტო კვირეული ყოველწლიურად დეკემბრის თვეში იმართება თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ორგანიზებით. მისი მიზანი სტუდენტებსა და ახალგაზრდებში ადამიანის უფლებების პრობლემური საკითხების შესახებ ცოდნის გავრცელება და უნივერსიტეტების თანამშრომლობის გზით ადამიანის უფლებების სამართლის შესახებ იდეათა და მოსაზრებათა აქტიური ურთიერთგაცვლაა.*

*მონაწილე უნივერსიტეტებს სჯერათ, რომ ერთობლივი ძალისხმევით შესაძლებელია ადამიანის უფლებათა პრობლემური საკითხების შესახებ ფართო საზოგადოებრივი დისკუსია და ქართულ საზოგადოებაში ადამიანის ღირსების, თავისუფლების და კანონის წინაშე თანასწორობის განმტკიცება.*

*2020 წლის 3-10 დეკემბრის კვირაში, საქართველოს 11 უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ლექტორებისა და სტუდენტების მონაწილეობით, ადამიანის უფლებათა სამართლისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართება. ღონისძიებების თემები უნივერსიტეტების მიერ შეირჩა ქართული საზოგადოებისთვის მათი აქტუალობის საფუძველზე.*

*ადამიანის უფლებების სამართლის საუნივერსიტეტო კვირეულის მხარდამჭერია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროგრამა „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (EWMI/PROLoG)*

